

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აგ-0861-20  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

30.04.2020წ.

ქ. თბილისი

**1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):**

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

**2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 30 აპრილი.**

**3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:**

მაია ჭარბაძე პ/ნ 01002024058 ქ.თბილისი, გლდანი პატარა ვაკის დასახლება

**4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქ.თბილისში, გლდანში პატარა ვაკის დასახლებაში, სატრანსფორმატორო პუნქტ N 601-207-დან გამავალ სადენზე არალეგალურად დაერთებული იყო სადენი, რომლიდანაც ძაბვა მიეწოდებოდა მაია ჭარბაძეს პ/ნ01002024058, აღნიშნული მოქალაქე არ იყო რეგისტრირებული აბონენტად, შესაბამისად არ ხდებოდა მის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის აღრიცხვა, (დაერთების ადგილზე იყო 25 ამპერი, ხოლო ძაბვა შეადგენდა 223 ვოლტს) აღნიშნულ ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას008745 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა მაია ჭარბაძე (პ/ნ 01002024058) ოქმში მითითებული ახსნა-განმარტების თანახმად, მაია ჭარბაძე აღიარებს, სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. მაია ჭარბაძის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 16 აპრილს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. მაია ჭარბაძეს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #1586366 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, ელ.ენერგიის დატაცებას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება მაია ჭარბაძის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228<sup>2</sup>-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

### და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. მაია ჭარბაძე პ/ნ 01002024058 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



მეკო გოგიტიძე

მისიონის ტაყმაჯლომარე